

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონში „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია ბუჯდვითი პროდუქციით გარე ვაჭრობისას სავაჭრო-საგადასახადო რეჟიმის რეგულირება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ბუჯდვითი პროდუქციით გარე ვაჭრობის ობიექტური ხელშეწყობა და წახალისება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

მეწარმე ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ ქუჩაში დატარების ფორმით წვრილ საცალო ვაჭრობას, გაზეთებისა და ჟურნალების გაყიდვას ჯიხურებიდან ან ქუჩაში დადგმული სტენდებიდან/მაგიდებიდან – საქმიანობის ამ ნაწილში განთავისუფლებული იქნებიან საკონტროლო-საღარი აპარატების გამოყენების ვალდებულებისგან. და ეს ნორმა, რომელიც დღეისათვის მოქმედებს მხოლოდ დროებით, გახდება მუდმივი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არსებით გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

